კახა კაციტაძე. ყოფიერება და ხელება, „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი", თბ., 2013, 262 გვ.

ჩვენ წინაშეა ჩვენგან უდროოდ წასული მოაზროვნის კახა კაციტაძის წიგნი უჩვეულო სათაურით „ყოფიერება და ხელება", როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, წიგნი დასრულებული არ არის, „წიგნი კიდევ დასაწერიაო", – წერს ავტორი და იქვე იძლევა დასაწერი წიგნის თავების პირობით დასათაურებებს, რომლებშიც დომინირებს სიტყვაცნება „ყოფიერება", რაც წინასწარვე აცხადებს ავტორის დამოკიდებულებას ჰაიდეგერისადმი, მაგრამ არა იმდენად მისი ფილოსოფიის კონცეფციებისადმი, არამედ უპირატესად დამოკიდებულებას ენისადმი, როცა ენა არ არის მხოლოდ ინსტრუმენტი აზრის გადმოსაცემად, არამედ გასაღებია ყოფიერების გასახსნელად, უფრო მეტიც, იმავდროულად, იგი ონტოლოგიური ფაქტია, თავად არის ყოფიერება, თითქოს ადამიანისეული, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი რამ, რომელშიც ადამიანი, როგორც ოჯახში, როგორც სახლში („ყოფიერების სახლში"!) იბადება, ცხოვრობს და კვდება. უფრო მეტიც, თითქოს ის არის *არსება*, რომელიც იმორჩილებს ადამიანს, თავზე ახვევს თავისი არსებობის წესებს, მბრძანებლობს მასზე და კიდეც ემორჩილება მას, ნებდება კიდეც მას შემდეგ, რაც ადამიანი შეიცნობს მის წესებს, რომლებიც მას არ შეუქმნია, დახვდა როგორც კერაზე წინაპრების ცეცხლი ან ნაცარი. მას ცეცხლის შექმნა არ შეუძლია, მხოლოდ სულის შებერვა და მინავლულის გაღვივება. ადამიანი სასრულია, დასაზღვრულია დროსა და სივრცეში, ენა (და ცეცხლი) კი უსასრულოა და დაუსაზღვრელი, უკიდეგანოა. ქართული ენის და, ზოგადად, ქართველურ ენათა ძირები, რომელთა „ფსკერული" შრეები არ ექვემდებარება ერთნიშნა სიტყვიერ განმარტებას, ყოფიერების რომელიღაც, დღესდღეობით ცნობიერებისთვის დაკარგულ რეალობებს ასახავს, მაგრამ მათ შემდგომდროინდელ წარმოდგენათა, განცდათა, საყოფაცხოვრებო და ისტორიულ გამოცდილებათა სქელი ფენები აფარია. ქართულური ენების არცთუ მწირ, თუმცა მაინც არასაკმარის ლექსიკონთა შორის ვერ აღმოვაჩენთ ვერც ერთს, რომელიც ოდნავად მაინც ასახავდეს მისი ლექსიკის კონცეპტუალურ მხარეს, მის ძირთა სიღრმეებს და იმ სიღრმეებში უთიერთკავშირებს. მხოლოდ ეპიზოდურად თუ ვინმე შეხებია ენის ამ მხარეს, გაუხდია იგი სააზროვნო საყრდენად. ეს ხარვეზი, ეს უგულებელყოფა ამ უნიკალური და ამოუწურავი მასალისა განცვიფრებას იწვევს, თუ დავუშვებთ ქართველთა შორის ფილოსოფიისადმი ინტერესს, როგორ არ მისცა სტიმული ქართველურ ლოგოსოფიას პლატონმა, რომლის თითქმის ყველა დიალოგში ჩანს ინტერესი ენისადმი, „კრატილეზე" რომ არაფერი ვთქვათ, მთლიანად ამ პრობლე-

მას რომ ეძღვნება, ან მარტინ ჰაიდეგერმა, რომლის ფილოსოფია ბევრწილად, გადაჭარბება არ იქნება, სიტყვათა მოწმობებზეა აგებული. დიდი ხნის, უნდა ვიფიქროთ, სურვილმა, რომ ქართული ენა ჰაიდეგერისებურად „გათამაშებულიყო“ (ავტორის გამოთქმაა) სიკვდილისშემდგომ გამოცემულ ამ წიგნში ჰპოვა განხორციელება. ავტორი გერმანელ მოზროვნეს თავის თანამემამულესთან აწყვილებს; ერთისთვის – ჰაიდეგერისთვის ენა, ხშირ შემთხვევაში, ამოსავალი იმპულსია, ან დამატებითი მასალა მიგნებული ჭეშმარიტებების დასამოწმებლად, მეორისთვის – გენიალური ნიკო მარისთვის – წმინდაწყლის ონტოლოგიაა, რომელიც თითქოს პირველად ონტოლოგიურ სინამდვილეს მის კოსმიურ მასშტაბში (ცას და მიწას) საზრისს აძლევს, განმარტავს. ამ უკანასკნელისთვის ენა, განსაკუთრებით ლექსიკა, ყველაფერია – დაწყებული ადამიანის ცნობიერებიდან საზოგადოებრივი ფორმაციებით დამთავრებული. რაც უნდა ოდიოზური ყოფილიყო ენის გამოცხადება კლასობრივად, რასაც თავად კლასობრიობის „კლასიკოსი“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ, როგორც სჩვეოდა, დაუპირისპირდა, მაინც ჭეშმარიტების მარცვალი მასში იპოვება, რასაც ძველი ინერციით უგულებელყოფენ, მეტიც, ამაზე საუბარი არაპოლიტკორექტულადაც მიიჩნევა. არის ნამდვილად და ამას წინამდებარე წიგნის ბევრი პასაჟი მოწმობს, ორი შრე ენაში – ერთი პრაგმატულ-უტილიტარული, ყოფიერების „ნივთიერ ნიადაგზე“ აღმოცენებული, და მეორე, მისი სუბლიმირებული ორეული (ამას ზედნაშენს დაარქმევდა ჩვენი „კლასიკოსი“), რომელიც სრულიად სხვა სფეროს კუთვნილება გახდა. ერთი „საღი აზრის“ ობიექტია, მეორე – ფილოსოფოსის ხელობაა (მოწოდება); ერთი ყოფითს, მდაბიურს (პირობითად), მეორე ელიტარულ კულტურას ეკუთვნის. მართალია, სრულიად განსხვავებული პოზიციებიდან მომდინარეობს ხალხური კულტურის, კერძოდ, სიტყვიერების ელიტარული წარმოშობის თეორია, რომლის თანახმად ფოლკლორი სხვა არაფერია, თუ არა „ჩაძირული კულტურული დოვლათი“ (Versunkenes Kulturgut), მაგრამ სიღრმისეულად და ტიპოლოგიურად მათ შორის არცთუ შორი ნათესაობა არსებობს. ხომ შეიძლება ნიკო მარის წინაშე ამგვარადაც დაყენებულიყო საკითხი: ენა ასახავს ყოფიერებას გამოყენებითი მიზნით, მოაზროვნე კი მასში უფრო მეტს ხედავს, ვიდრე გამოყენება გულისხმობს. ეს თემა უფრო ვრცელ ადგილს მოითხოვს, თუნდაც საკითხის დასასმელად, ამჯერად კი მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ. აქაც გაგვიჭირდება პრობლემის ფართოდ ჩვენება, ჩვენი ავტორი რომ შეჭიდებია – ის აგრძელებს ორი მოაზროვნის სპეციფიკურ პრობლემატიკას. „ეს საკითხი ფილოსოფიაში, ცხადია, ჩემი დაყენებული არ გახლავთ და სიღრმისეულადაა განხი-

ლული ორი ისეთი „ხელობით“ მცხოვრები მოაზროვნის ნააზრევში, როგორებიც არიან მარტინ ჰაიდეგერი და ნიკო მარი“, – წერს ავტორი. მაგრამ თუ პრიორიტეტი მას ამ „ხელობით ცხოვრებაში“ არ ეკუთვნის, ნამდვილი აღმოჩენაა ამ ორი, კულტურითა და მენტალიტეტით განსხვავებული მოაზროვნის დაკავშირება ერთ სააზროვნო პუნქტში, რომელსაც გერმანელი მოაზროვნე ყოფიერებით (მეტაფორულად: Vor-hand-enheit „ხელ-მისაწვდომობა“, Zu-hand-enheit „ხელთ-მყოფობა“) განსაზღვრავს, ქართველი კი იმავე ხელ-ობით მთელ კოსმოსს – მიწიდან ვარსკვლავებამდე მოა-ხელთ-ებინებს ენას. მის ოთხელემენტოვან სისტემაში (სალ, ბერ, დონ, როშ), პირველი ადგილი ხელს (ხელ/ძალ/სალ/ცალ) უჭირავს.

განმარტებითი ლექსიკონის ზერელე გადათვალიერებაც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რაოდენ პროდუქტულია „ხელ“ სიტყვა (მას „გულ“ სიტყვა თუ გაუწევს კონკურენციას) და, კვლავ ავტორის გამოთქმით, „როგორ ხდომობს ხელი“. ხელი არ არის მის განჭვრეტაში მხოლოდ ბიოლოგიური არსების ორგანო, რომელიც თითქოს ცხოველის თათის ანალოგია, მაგრამ მისგან ფუნდამენტურად განსხვავდება. თუ თათი მხოლოდ იპყრობს მსხვერპლს (საკვებს), ხელი იპყრობს ყოფიერებას და მასთან გაიგივებულიც არის, როგორც ღრმა სემანტიკისა და ფართო სემიოტიკური ველის წყალობით; მეორე მხრივ, ხელი, განსხვავებით თათისგან, მეტყველების დასაბამშია... თუ მართლაც ენა ნიშანთა სისტემაა, როგორც გვასწავლიდნენ და დღესაც ძალაშია, – ნიკო მარიც კი არ იტყოდა უარს ამ დებულებაზე – სხვა რომელი ორგანო შეიძლება დავასახელოთ, გარდა ხელისა, რომელსაც შეუძლია „მიანიშნებდეს“. რა არის მასთან შედარებით წმინდაწყლის ბიოლოგიური ორგანო ენა, რომელიც ბგერას კი წარმოქმნის, მაგრამ თავად არ მიანიშნებს. ენის მეშვეობით ბგერა იბადება, მაგრამ ხელი თავისი მინიშნების უნარით მთელ ყოფიერებას ბადებს, ავტორის თქმით, ხელთ უპყრია... გერმანელ ფილოსოფოსს, რომლის ენაში სიტყვას Hand ისეთი ხვედრითი წონა არა აქვს, როგორიც „ხელს“ ქართულში, ქართული მასალა, მისი გაცნობის შემთხვევაში, უთუოდ გააღრმავებდა მის წარმოსახვას. ქართველი ავტორი ითვალისწინებს ამ შესაძლებლობას და ოპტიმალურად ჩართავს „ხელ“ ლექსემას, როგორც მოწმობას, როცა გერმანელი მოაზროვნის განჭვრეტის გადმოცემა უხდება. ჰაიდეგერის ნათქვამს: „ხელი, სიტყვის მსგავსად, ინარჩუნებს ყოფიერების ადამიანისადმი მიკუთვნებულობას და მხოლოდ აქედან – ადამიანის მიმართებას არსებულთან“, – ჩვენი ავტორი ამგვარად აზუსტებს: „ადამიანის ხელის არსებულთან მიმართებიდან კი არ გამომდინარეობს ადამიანის სპეციფიკური მიმართება ყოფიერე-

ბისადმი, პირუკუ: ადამიანს რომ სპეციფიკური მიმართება აქვს ყოფიერისადმი, ამიტომ „აქვს“ მას ხელი, როგორც ყოფიერების გახსნის იარაღი“. და ქართული ენა საშუალებას აძლევს ჩვენს ავტორს ეს „სპეციფიკური მიმართება“ არა საგანგებოდ შექმნილი ტერმინით, არამედ ბუნებრივი იდიომით დაამოწმოს: „ადამიანის ყოფიერების არსი **ხელგაშლილობაშია**“. წიგნის მომდევნო პერიოდში, კერძოდ, ესეში, ჯემალ ქარჩხაძის კონცეპტუალურ მოთხრობას („იგი“) რომ ეძღვნება, ხელის ეს თვისება თუ უნარი – გაშლილობა (გახსნილობა) ხელოვნების სფეროდან ეკსისტენციალურ მომენტამდე გადაინაცვლებს, რაშიც ადამიანის პიროვნების გახსნა (ჩამოყალიბება) იგულისხმება. აქ პიროვნების გახსნილობა ხელოვანის მიერ ყოფიერების გახსნის ანალოგიურია. ეს არის ხელობა ამ სიტყვის ყოველნაირი გაგებით, მისი სემანტიკურ-სემიოტიკური ველის გათვალისწინებით. [აქ უნდა შეინიშნოს, რომ *კელ* (ადამიანის ზემო კიდური) და *ხელ* (ბერძნ. მანია) სიტყვების დამთხვევამ თანამედროვე გამოთქმასა და დაწერილობაში ჩვენს ავტორს გზა გაუხსნა ამ ორი ლექსემის სიღრმისეულად დასაკავშირებლად. თუმცა ფონეტიკა არ დაემოწმება, მაგრამ *ხელობა* (ხელთან, მარტივად რომ ვთქვათ, დაკავშირებული საქმიანობა), როგორც მოწოდება (Beruf), მართლაც არის *მანია* („ხელობა“, „სიშმაგე“ პლატონური და რუსთველური გაგებით), თუნდაც რომ იგი „საღი აზრიდან“ გადახვევა არ იყოს]. ჩვენი ავტორისთვის, რომელიც გერმანელი მოაზროვნის გზას მიჰყვება, მნიშვნელოვანია, რომ ქართულში მკვიდრად არსებობს სიტყვა „ხელოვნება“, რომელიც ლათინურ ars (artis) შესატყვისია და არამც და არამც რომელიმე სხვა ლექსემის კალკი. არ იპოვება კულტურულ ენათა შორის ისეთი, სადაც ადამიანის შემოქმდების ეს დარგი „ხელ“ სიტყვასთან იყოს დაკავშირებული. ამდენად დიდად ფასობს ჰაიდეგერის განჭვრეტა, რომლის ენაში Hand უკავშირდება ხელოვნებას. ამ მხრივ, ქართული „ხელოვნება“ უნიკალურია და ქართველი მოაზროვნე ამ გარემოებს იღებს, როგორც ფაქტს, რომელიც არც საჭიროებს ზედმეტ თეორეტიზებას, ანალიზსა და სიღრმეში წასვლას. იგი თავად მეტყველებს თავის თავზე, როგორც ღვთის ხატად შექმნილი არსების, უმნიშვნელოვანეს ასპექტზე (ნების თავისუფლებასთან, თავისუფალი არჩევანთან ერთად). ამ კონტექსტში, ამ აზრით, გენიალურია გერმანული მოაზროვნის ჩვენი ავტორის მიერ ხშირად დამოწმებული და მსჯელობაში გაშლილი ორი ფორმულა: „ხელი ჩნდება სიტყვიდან და სიტყვასთან ერთად“ და „ხელი სიტყვასთან ერთად ადამიანის არსებით ნიშანს შეადგენს“. ქართველი მოაზროვნისთვის ამოსავალი პოზიცია ხელოვნების ფილოსოფიისთვის მის მიერ გამოჭედილი ასევე ორი ფორმულაა: „ხელის ხელობა“ და „ხელის ხდომობა“. „როგორ ხდომობს

ხელი“ – როგორ და რას ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ, თუმცა ხელოვნება აქ უფართოეს ასპარეზს იძენს: მთელ ყოფიერებას მოიცავს, ადამიანის მუნ-მყოფობა (Dasein), ლიტონი Sein-ისგან განსხვავებით, სხვა არაფერია, თუ არა, ხელოვნების ნაყოფი, ადამიანის ხელით ნაწარმოები. წიგნის მეორე და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდი ფიროსმანის მხატვრობის ეკსისტენციალურ-ონტოლოგიურ ანალიზს ეძღვნება. მას მოსდევს ბოსხის მხატვრობის ანალიზი. ორივე ესე ერთგვარი ილუსტრაციაა ყოველივე იმისა, რაზეც წინა პერიოდებშია საუბარი, სახელდობრ, „ხელობა“ („ხელთქმნა“) და გახსნილობა, რაც ჩვენი ავტორის ინტუიციით ხელოვნების არსს წარმოადგენს. ესეს ფიროსმანის შესახებ სიმპტომატური სათაური აქვს: „ყოფიერება და ნდობა“. საგულისხმო მოსაზრების გვერდით, რომლის თანახმად ფიროსმანი კი არ ასახავს, არამედ გამოსახავს, ანუ კერძოთი, მაგალითისთვის, ლომის ფუგურით მასში არსებულ იდეას გამოსახავს, ანუ გახსნის იმას, რასაც – ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ლომობას“ – კერძო მოიცავს, რასაც კვლავ ხელოვნების არსის მისეულ დეფინიციამდე („ხელთქმნისას იქმნება გახსნილობა“) მივყავართ, – ავტორი აყენებს საკითხს მხატვრის შემოქმედებაში ყოფიერების, კერძოდ, „გარემოულობის“, ორი მოდუსის არსებობის შესახებ. ავტორი ორ ზოგად დებულებას, რომ „ადამიანური გარემოს უპირველეს და უახლოეს მახასიათებლად სანდოობა გვევლინება“ და „ადამიანის ყოფიერების არსი ხელ-გაშლილობაშია, გახსნილობაშია, სადაც სუფევს მინდობითი დამოკიდებულება შემხვედრისადმი“, რასაც ჩემი აზრით, „სინამდვილისა“ და „ნდობის“ იდენტური სემანტიკა მოწმობს (ძვ. ქართ. *ნა-ნდ-ვ-ილ* და *ნდ-ობ-ა*), უპირისპირებს ყოფიერების უნდობლობის მოდუსს (ეს ქვესათაურია), რომელიც ნდობის მოდუსთან ერთად თანაარსებობს ფიროსმანის მხატვრობაში, კვლავ ზოგადი დებულებიდან ამოსვლით, რომ „ჭეშმარიტი ნდობა ყოველთვის [ამ] ფათერაკთან ერთად თანაარსებობს“. ამ შუქზე სხვა განზომილებას და სიღრმეს იძენს ფიროსმანის შემოქმედება. ამაზე დავასრულებთ ჩვენს მიმოხილვას. აღარ შევეხებით წიგნის დანარჩენ, თავისთავად საინტერესო თემებს, რომელთაც კახა კაციტაძე ფილოსოფიასთან თანაბარი მგზნებარებით იკვლევდა, როგორიცაა „ქართლის ცხოვრების“ მითო-სემანტიკური ინტერპრეტაცია, გურამიშვლის შემოქმედების ჰერმენევტიკა, რომანტიზმის ფილოსოფიური ასპექტები. მკითხველი მათ ადრეული პუბლიკაციებით იცნობს და, უნდა ითქვას, ისინი მაინცდამაინც არ ერთიანდება „ყოფიერება და ხელების“ სათაურქვეშ.

ზურაბ კიკნაძე